

# თქტომბრები



1938წ

№12

# ოქტომბრული

№ 12  
დეკემბერი  
1938 წ.



ბაზოვსკის რაიონის „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34  
ტელ. № 3-02-61

საბ. ა. ლ. ქ. ც. ცხაკას და საბ. ზანსახკომის ერთობიანი ორბანო

## შეჯიბვის შედეგები

	მ.
1. ნ. ბილივი — სტრელკა (მოთხრობა თარგმანი ელ. აგლაძისა) . . . . .	1
✓ 2. სანდრო შლინტი — პატარა მხატვარი (ლექსი) . . . . .	2
3. თამარ ოქროშიძე — ბაბუას ჩანგური (მოთხრობა) . . . . .	3
✓ 4. ი. ზარიშვილი — „მიყიდე“ (ლექსი) . . . . .	7
✓ 5. არნო ონელი — თინას ბეჭეკა (ლექსი) . . . . .	8
6. რომი ბარტონი — იფუგაო (ნარკვევი თარგმანი თინა უზნაძისა) . . . . .	10
✓ 7. ილია სიხარულიძე — უზა (ლექსი) . . . . .	14
8. ალ. სულავა — ნ. დაფნარელის „ლექსები“ (წერილი) . . . . .	15
9. ვენიამინ შაქი — თვითმფრინავი (ლექსი თარგ. ვ. დარასელიანი) . . . . .	16
10. ლ. კახიანი — ელექტრული თევზი (ნარკვევი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
✓ 11. ნინო ნაკაშიძე — ასოთამწყობი (გასართობი) . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

შერჩეული გაფორმებულია მხატვ.—ი. ქოქიაშვილისა და ანატოლ ხავინის მიერ.

გარეკანის მხატვრობა—ი. ქოქიაშვილისა.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ზინინაძე პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი

გადეცა წარმოებას 25/XI-1938 წ.  
ხელმოწერილია დასაბუქდალ 19/XII

ქალაქის ზომა 60X92  
ფორმათა რაოდენობა 16 გვ. 9<sup>1</sup>/<sub>4</sub>X14



# სტრელკა



ბ. ბილიძე

33/2

სერგეი მირონისძე კიროვს ჰყავდა მონადირე ძაღლი სახელად „სტრელკა“. ძაღლს, ბინა ქალაქგარეთ ჰქონდა მიჩენილი, სადაც სერგეი მირონისძე ნადირობდა ხოლმე.  
ერთხელ კიროვი სანადიროდ ჩამოვიდა. სტრელკამ სწორედ ამდროს დაყარა ლეკვები.

სტრელკა მზიარული ყფით შეეგება თავის პატრონს. ზედ ახტებოდა, ცდილობდა ხელები აელოკა. შემდეგ კი თავისი ლეკვებისკენ გაუძღვა. ლეკვები ძალიან სასაცილოები იყვნენ: ბანჯკვლიანები, დღითავეები. დაცოცადნენ, ტრიალებდნენ, ერთიმეორეს ყურებს უწევდნენ. სტრელკა დაწვა, რომ რძით გამო-

ედლო ლეკვები. როცა სერგეი მირონის-  
ძემ თოფი აიღო და ქობიდან გამოსას-  
ვლელად მოემზადა, სტრელკა წამოხტა,  
სიხარულისაგან ცმუკავდა, ისიც ემზადე-  
ბოდა სანადიროდ.

სერგეი მირონის-ძემ დაუყვავა:

— ვინ მიხვდავს შენს პატარებს, ვინ  
აჰმევეს ძუძუს. ტყუილად გიხარია.  
დარჩი სახლში. მე მარტო წავალ სანა-  
დიროდ.

სტრელკა მიხვდა: დამნაშავესავით  
კუდი გაიქნია და თავის ლეკვებს დაუ-  
ბრუნდა.

სერგეი მირონის-ძე ტბის ნაპირისაკენ

წავიდა. უცბად იხვი წამოფრინდა. (ტბო-  
ვმა სწრაფად დაუმინა და ესროლა. ახ-  
ვი ნაპირიდან შორს, ლერწმები დაფეცა.

როგორ მივიდეს მოკლული ნივთი?  
გადაწყვიტა მეთევზეებთან წასულიყო  
ნავის სათხოვრად. მაგრამ უცბათ ლერწ-  
მები აშრილდნენ. „ალბათ, რაიმე ცხო-  
ველია“. — გაიფიქრა სერგეი მირონის-ძემ.  
დაუდარაჯდა და თოფიც მოიმარჯვა.  
მაგრამ ლელიდან ნაპირზე სტრელკა გამო-  
ვიდა. მოკლული იხვი მოჰქონდა პირით.

— მაინც ვერ მოითმინე, შა? მოირბი-  
ნე შენს პატრონთან მოსახმარებლად? —  
უთხრა აღერსით სერგეი კიროვმა.

თარგმანი ელ. აბლაძიძე.

ს. ქაქვიძე

# კაცარა მხატვარი



დილა არის, ფანჯრის მინებს,  
დაეფრქვია მზის ციმციმი,  
ჩვენი ელოც თვალფუფუნა  
შეეგება დღეს სიცილით.

მკვირცხლად, სახეგაბადრული,  
სახლემბ, მთებს და ხეებს ხატავს,  
მაღობზ გოგოს, ფრიადოსანს  
მზემ პირდაპირ მიანათა.

ზის, ფიქრობს და ისევ წყნარად  
აფერადებს ღამაზ ნახატს,  
ხეზე ჩიტიც დაასკუბა,  
იციო როგორ გაეხარდა?!


შემდეგ სახლი, სახლთან ყუთი,  
ყუთს ვარსკვლავი დაახატა,

მოაგონდა, შარშან ამ დღეს  
არჩევენებზე დედას ახლდა.

მოაგონდა... აივანზე  
ჩაამწყრივა ხაღბის წყება,  
მათ ბავშვებიც მიაყოლა, —  
ელოს ნახად ელიმება.

და სურათზე ისე კობტად  
დააწერა სიხარულით:  
— დღეს დეკემბრის თორმეტია  
მზის სხივებით მოქარგული.

თანაც სახეგაბადრულსა  
ამშვენებდა კვლავ სიცილი,  
და ჩვენს ელოს ხუჭუჭ თმაზე  
ფერქვეოდა მზის ციმციმი.



# ბაბუას ჩანგური

ეს მოხუცი ძველ წელიწადსა ჰგავდა: მთლიანად დაკოჩილი, შუბლდაღარული, ჭადარა, მოღუშულ წარბებ ქვემო-დან აღერსიანი თვალები ხალისიანად უციმციმებდა. გაჯავრებულს მას იშვიათად ნახავდით. სულ მუდამ იღიმებოდა, თითქოს ოთხმოცი წლის ნავაგლახევი სიცოცხლე არ ჰკიდებოდეს ზურგზე მძიმე ტვირთად.

სკოლის ბავშვებს განსაკუთრებით უყვარდათ თომა. დიდ დასვენებაზე ყველანი მოხუცი მეფხოვის ბინისაკენ გაიქცეოდნენ ხოლმე და სულგანაბულნი უსმენდნენ თომა ბაბუას ტკბილ ჩანგურსა და სიმღერას.

თომა ბაბუასავით ძველი იყო ეს ჩანგური, მამის დატოვებული და მისი სიბოვრების ყოველი სიღუპის მოწმე.

ბევრი ლექსი იცოდა მეფხოვემ, და როცა მისი დაკოჩრებული და კანგასქელებული თითები ჩანგურის სიმებს შეეხებოდა, მოწაფეებს გული შეუტოკდებოდათ.

თომას ბომბორა კატა ხომ მუდმივი მსმენელი და მოყვარული იყო თომას ჩანგურისა და სიმღერისა, ყოველთვის მის გვერდით, ან ფეხებთან მოიკალათებდა და სიამოვნებით კრუტუნებდა თვალდახუჭული.

ძალიან ადრე ამდგარა თომა, ჯერ კარგად განათებული არც არის. უზარმაზარი ცოცხი დაუკავებია და სკოლის ეზოს ასუფთავებს. მალე ეს მყუდროება დაირღვევა ახალგაზრდა, ჯანსაღი სიცილკისკისითა და ხმაურით. თომა ბაბუას ასეც უყვარს, ის სიჩუმეს მიჩვეული არ არის, რამდენი ხანია სკოლას ემსახურება, მეფის დროიდან. უცებ მეზოვე შედგა, ცოცხის ტარს დაეყრდნო

შუბლით. ფიქრმა რამდენიმე ათეული წლის წინა ამბები მოაგონა.

მოაგონდა სკოლის პირქუში დირექტორი. ერთხელ ბავშვებს კიბეზე თოვლი დაეყარათ. დირექტორი თავისი კაბინეტიდან გამობრძანდა მედიდურად და კიბეზე დაეშვა. თოვლიან საფეხურზე ფეხი დაუსხლტდა და, მოაჯირისათვის რომ არ ეტაცა ხელი, წაიქცეოდა. მაშინვე თომას დაუძახეს. დირექტორმა საშინლად გალანდა და ბოლოს სილაც გააწნა.

— სამი დღის ხელფასი დაუკავეთ! გასცა მან ბრძანება.

თომამ ახლაც ცხადად იგრძნო ტკივილი და ლოკაზე ხელი მოისვა. ის სილა მოუშუშდა, მაგრამ მისმა ხსოვნამ კი სამუდამოდ შეინახა სიძულვილი და საშინელი შეურაცხყოფა.

ვინ იყო ქომაგი, ვინ ამოიღებდა ხმას?

ახსოვს მეორე ამბავიც: სწავლის დასაწყისს ერთმა გავლენიანმა კაცმა მშვენიერი ცისფერთვალა და ხუჭუქთმიანი ბიჭიკო მოიყვანა. ეტყობოდა, ბავშვი იმ კაცის შვილი არ იყო, დიდი მორიდებით ეპყრობოდა მომყვანს, ტანზე ცუდად ეცვა, ფეხსაცმელის ქუსლიც ჩათელილი ჰქონდა და სიარულს უშლიდა.

დირექტორმა ორივე კაბინეტში მიიღო. ახსოვს თომას როგორ დანიტერესდა ის და კაბინეტის ღია ფანჯრიდან შეიჭვრიტა:

— ადგილები უკვე შევსებულია, მაგრამ შეიძლება მომეწყო, რომ ბავშვი გლეხის შვილი არ იყოს— მოისმა კაბინეტიდან დირექტორის ხმა. თომამ ბიჭიკოს შეხედა, მშვენიერ ცისფერ თვალებს სიცოცხლე დაჰკარგოდათ და ერთ წერტილს მისჩერებოდნენ უაზროდ.


რამდენი ასეთი რამ ახსოვს თომას... თვითონაც ხომ პატარა მოიყვანეს სკოლის დამლაგებლად, მაშინ ვაკილიებით ადივლად შეითვისებდა ანბანს, თუ ახლა ისწავლა, ამ სიბერეში. მეგობრებს თავისი პატარა მასწავლებლები მოაგონდა — პიონერები ციკინო და გუგა, და ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— თომა ბაბუა, რას დამდგარხარ თოვლის კაცივით? — შემოეხვივნენ მეგობრებს ბავშვები, და სკოლის ეზოახმაურდა, სიცოცხლითა და ხალისით აივსო.

ახალწლის წინადღებია. თოვს. ხალი-სიანად ცვივა თოვლის ფანტელები. დილით არც-კი ჰქონდა თომას სამუშაო. ექვსი საათიდან დიწყო თოვა. ეზოს თხლად დაჟენია გამჭვირვალე ნაფლეთები. სანამ დიდ თოვლს არ დასდებს, თომას შეუძლია გულდამშვიდებით იყოს, მერე შეუძლება თოვლის აგუნდავებასა და ახვეტას. მოწაფეებიც მოეხმარებიან. ახსოვს შარშანდელი ზამთარი, რა მალე მოასუფთავეს სკოლის ეზო და გზა.

ლუმელი ანთია, ოთახში თბილა, თომამ ისაუზმა, გული სიხარულით აქვს საესე. მუდამ უყვარდა თოვლი და დღეს პატარა ბავშვივით არის ატაცებული სიხარულით.

— ვიმღეროთ, ჩემო კატუნია, არა? — ეკითხება კატას თომა და ფრთხილად



ჩამოიღებს კედელზე დაკიდებულ ჩანგურს. სკოლის ზარის ხმა წერილობით გადაურბენს მიჩუმებულ ეზოსკენ. მხასთან ერთად ბავშვების ხმაყვილიც ასწვდება შენობის მაღალ კედლებს.

— რა თოვლია, რა ლამაზია, ეს შარშანდელ თოვლს სჯობია!

— აბა, კისერში ჩაგაყარო, მაშინაც იტყვი ლამაზიაო?

— საღ არის თომა ბაბუა, წამოდით, მივულოცოთ პირველი თოვლი.

ყველანი თომას ოთახის კარებისაკენ გარბიან ხმაურით, სიცილით და ფეხების ბაკუნით. კარები გამოაღო თომამ და სიყვარულით გადახედა მოწაფეებს. იგრძნო რაღაც მახლობელი, მშობლიური, თითქოს ამდენი ბავშვები ყველანი მისი შვილიშვილები ყოფილიყვნენ, დამჯერე და მოსიყვარულენი. გულზე თეთრწვერდაფენილი მეგობრე მომღიმარე სახით მშვენიერად ეხამებოდა ამ თოვლიან ეზოს და ლოყაწითლებულ ბავშვებში მართლაც თოვლის ბაბუსასეთი იღვა.

თომა ჩანგურს უკრავდა. თვალები დაეხუჭა და მოხუცის სასიამოვნო, ტკბილი ხმით დამღეროდა. ოთახში სითბო იყო, ღუმელზე ჩაიდანი შიშინებდა. კუთხეში რამდენიმე ნაქერი შეშა ეგდო. კატას, ჩვეულებრივ, თომას გვერდით მოეკალათა, მაგიდაზე იწვა მორგცივით დახვეული და პატრონივით თვალდახუჭული მომღერალს პირველს ეუბნებოდა კრუტუნით.

გარეთ კი თოვდა და თოვდა. თოვლი უკვე იღო. ხის კარებს მოაწყენენ.

— თომა ბაბუა, კიბეა გასაწმენდი, გამოიტა შენი ნიჩაბი, ჩვენც მოგეხმარებით! — ემახდნენ ყველანი ერთად.

წამოდგა, ჩანგური მაგიდაზე დადო, თბილი, ბუნჯიანი პალტო ჩაიცვა, ყაბალახი მოიხვია, კუთხეში მიყუდებულ ნიჩაბს ხელი წამოავლო და გავიდა.

კატამ იგრძნო პატრონის წასვლა. ნელნელა წამოდგა ისიც, გაიზმორა, წელში გაიჭიმა და მაგიდიდან ისკუა.

— ბრახ! — გაისმა ხმა, და შეშინებული ფისო ლოგინის ქვეშ შეხტა. და როცა თომა თოვლისაგან მთლად გა-

თეთრებული ოთახში შემოვიდა, იატაკზე ჩანგურის ნამსხვრევებს მოჰკრა თვალი.

მოხუცი აკრემლდა. მისი ჰირვარამის თანაზიარი, საყვარელი მეგობარი ჩანგური აღარ იყო.

სკოლა ნაძვის ხეს ამზადებს. გუგა მაგიდაზე შემდგარა და ნაძვის წვეროზე დიდ ვარსკვლავს ამავრებს. ირგვლივ ხმაურია, ფუსფუსებენ, დარბიან, იცი-ნიან.

ხელსაქმის მასწავლებელი მოწაფეების ერთ ჯგუფს დასდგომა და ფერადი ქაღალდების ჯაქვს აკეთებინებს. ხატვის მასწავლებელი მამლის ბოლოს აფერადებს. სათამაშოების დიდი უმრავლესობა თითქმის მოწაფეების დამზადებულია. აი, ციცინოს გაკეთებული ოქტომბრული, ლოყაწითელი გოგონა: ხელზე წამოცმულ კალათაში ტკბილეული უყრია.

— ერთი. ორი, სამი...ათი, თერთმეტი. — ნომრავს თინა საჩუქრის პარკებს.

— ჩვენი საახალწლო ხე ნამდვილი მშრომელთა ნაძვის ხეა, ყველაფერზე ჩვენი ენერჯია დახარჯული, — თავმომწონენდ ამბობს პიონერთა ხელმძღვანელი ნინო.

— გუგა! აი, მოვიტანე, — ჩასწურჩულებს ციცინო, — სად დაედო? — ხელში რაღაც მოზრდილი შეხვეული უჭირავს.

— ჯერ მაგდის გვერდით ჩასდე, მაგის დროც მოვა.

ნაძვის ხე უკვე მორთულია, მხოლოდ სანთლებით გაჩირადნდება-ლა აკლია.

გუგასა და ციცინოს შეხვეული გამოაქვთ და ხელმძღვანელს აჩვენებენ.

— ეგ კარგია-სიამოვნებით იღიმება ნინო. ნაძვის ძირას ბამბის ფენას ასწვენ და შეხვეულს ფრთხილად ჩამალავენ შიგ.

\* \* \*

ხუთქიმიანი ვარსკვლავი სხივებს ესვრის მზიარულ ბავშვებს, ნაძვის ხე ნელა ირხევა. განსაკუთრებული ხალისია დღეს: პირველი იანვარი, ახალი წელი!



დღეიდან იწყება ახალი ჯანსაღი წელი. პიონერები და ოქტომბრელები პირობას იძლევიან, რომ წლის განმავლობაში საუკეთესოდ ისწავლიან, ჩამორჩენილ მოწაფეებს გამოასწორებენ.

— გუგა, ციცინო, დროა თომა ბაბუა მოვიწვიოთ ჩვენს ნაძვის ხეზე! — მიმართა ნინომ ბავშვებს.

ხუთი მოწაფისაგან შემდგარი დელეგაცია წავიდა თომასთან.

სიხარულის ღიმილი გაუნათა დამკვიანარი ლოყები თომას და მოციმციმე თვალეზზე ბედნიერების ცრემლი მოადგა.

— რა დრო დადგა! — ფიქრობს თომა და ბავშვებით გარშემორტყმული მიაბიჯებს თოვლიან ეზოში. — წინათ ვინ შემიშვებდა მოწაფეთან ნაძვის ხეზე სათამაშოდ!

— გაუმარჯოს თომა ბაბუას, აი, ნამდვილი ცოცხალი თოვლის კაცი! — აღტაცებით იძახიან ბავშვები და თომას პალტოს თოვლს აცლიან.

ზეიმი დაიწყო. პიონერი შალვა საკუთარ ლექსს ამბობს, ნაძვის ხისა და ბელნიერი ცხოვრებისადმი მიძღვნილს.

თინამ, ქეთომ და მედიკომ მშვენიერი წკრიალა ხმით შესრულეს ბელადისადმი მიძღვნილი სიმღერა.

უხარია თომას, უხარია და თავი მოაქვს, რომ ბავშვებს, ამ მრმავალ საიმედო თაობას, უყვარს ის.

როგორ უხდებოდა სულ თეთრებში ჩაცმულ პატარა კურკას თოვლის ფიფქის ცეკვა. „ეს გოგონა მართლა კურკაა“ — ფიქრობს თომა და ალერსით შეჭყულებს მოცეკვავე გოგონას. კურკამ ცეკვა გაათავა და ნაძვის ძირში მიწვა.

საჩუქრების დარიგების დრომ მოაღწია.

— პირველი ნომერი! — იძახის მასწავლებელი. კურკა პირველი. ცქრიალით მიუხაზოვდა პატარა გოგონა მასწავლებელს და ტკბილედით სავსე პარკი და ციყვი მიიღო საჩუქრად.

— მეორე... მესამე...

თომა ბაბუა იღიმება და ბელნიერიც ამ საყვარელ ბავშვებში.

— მეათე ნომერი! — გაისმოდა კრემის არავენი პასუხობს.

ციცინო, გუგა და ნინო ერთმანეთს გადახედავენ, აქამდისაც მოუთმენლად ტოკავენ.

— თომა ბაბუა! აბა შენ ნომერს დახედე, — მიმართავს გუგა.

თომამ მუჭი გაშალა და ნომერს დახედა. ახლა იმან კითხვაც იცის, ციფრების ცნობაც. ათი ნომერი მას უჭირავს ხელში.

— თომა ბაბუას ერგო, აბა რა საჩუქარია? — მოუთმენლად ხტიან ბავშვები.

ნინო ნაძვის ხის ძირიდან შეხვეულს ამოიღებს და თომას გადასცემს.

ფრთხილად ხსნის შეხვეულს თომა და უეცრად უსაზღვრო მადლობის გრძნობა აღმოხდება გულიდან.

ეს ხომ ჩანგური, ახალი, მშვენიერი, ყვითელი ხის ჩანგური, მისი ძველი მეგობრის მაგიერი.

მხიარულმა ყვირილ-ხვილიშმა და ტაშისცემამ დაფარა დარბაზი.





# „მივიდე“

ისე ვერ გამოვსულებარ  
მე შინიდან გარეთა,  
რომ არ ამეკვიატო  
გულსაკლავად, მწარეთა.

ისე ვერ გამოვიღია  
მღაწისის წინარე,  
რომ არ შემომწუწუნო  
ცრემლებჩამოდინარე.

არ გამოიხებს ნივთების  
სიმძიმე და სიდიდე,  
უვლავურზე იბახი:  
„მივიდე! და „მივიდე!“

მუშაბნდს, რომ დაჭურვებ,  
მორთულს ნაირფერებდა,  
უვლავ ნივთი შენს ასაკს  
განა შეფერვება?



რაც ტყუთუნისქე ვიცი,  
კიდევ შემძინია,  
ეს სრიალა, ეს ბურთი,  
ეს თოჯინაც შენია.

შენ კი განურჩევლად,  
სადაც უნდა მისვიდე,  
უვლავურზე იბახი:  
„მივიდე!“ და „მივიდე!“

კმარა, ჩემო შელიკო,  
კმარა, თორემ, იცოდევ,  
ნამდვილ სახელს წაგართმევ  
და „მივიდეს“ გიწოდებ.

თინას ბეკეკა

1.

რა ლამაზი ბეკეკა ჰყავს  
ცუგრუმელა თინას,  
ლილით, როცა მზეზე დაჰყავს,  
თოვლივითა ბრწყინავს.

ნახშირივით თვალები აქვს,  
სათნო, მშვიდი, ნაზი,  
ვინ არ გაუხარებია  
თავის სიძვირფასით!

ჯერ ერთ თვესაც არ გაველო,  
მოაშორგეს დედას,  
ახლა ერთგულ მოამაგედ  
მხოლოდ თინას ხედავს.

ლილიდან დაღამებამდის  
თინაც ზრუნავს, უვლის,  
გაუკეთა ყელზე ბანტი,  
ბანტი ჩინებულნი.

რძიან ბალახს მიაგულა  
და ანკარა წყაროს,  
იქვე ბალში მზიარული  
ხმით რომ მოწიანწყარობს.



2.

ასე ტკბილად გადიოდნენ  
უდარდელად ყრმობის დღენი,  
არცერთს ჯერ არ განეცადა  
სამღურავი თუ საწყენი.

სათობით იზრდებოდნენ  
ვით ბეკეკა, ისე თინა,  
განა დღესაც ის არიან,  
რაც გუშინ და გუშინწინა?

ბეკეკამ რქა დაიყარა,  
უკადრისობს ბეკეკობას,  
ფიქრობს: რაკი რქები მაქვსო,  
სხვა არ მინდა, ეს მეყოფა.

სასეირნოდ აღარა სურს  
მას თინიკოს ბაღი, ეზო;  
თქვა: ფერდობებს შევეუყვები,  
წავალ, ვინ რას გამიგებსო.

თინა ამ დროს სკოლაშია,  
მუყაითად სწავლობს ანბანს,  
რას მიხვდება, შინ რომ მოვა,  
დედა ამცნობს საწყენ ამბავს.

3.

თხამ ჯერ ტყის პირს მიაშურა,  
მიიჩვია იქ ბალახმა,  
მერე ბუნჭი, მერე ლელე,  
მერე კლდეც კი გადალახა.

მალლობს შედგა თავმომწონედ,  
ჯეირანად თავი მოაქვს;  
—ვიშ, ფრინველთა ისმის სტვენა,  
ვიშ რა კარგი საღამოა!

ფიქრში წასულს დაავიწყდა,  
რომ დაეშვა ღამე ბნელი;

წაშოვიდა სახლში... მაგრამ  
წინ გადუღდა უცბათ მგელი.

ტყის ნადირის თვალში ცეცხლმა  
შემზარავად იწყო კრთომა,  
მერე პირი დააფჩინა —  
თხას ჩაყლაპვა მოუნდომა.

რა ჰქნას? ორ კლდეს შუა იღვა,  
არ შეეძლო არსით გავლა,  
თან მუხლებიც ჩაეკეცა  
და სიმწარით დაიბღავლა.

უცბათ... გაჩნდა მონადირე,  
ჩვენი ძია, ჩვენი დათა,  
წინ ცუგრია მოუძლოდა,  
გახელდებულ ვეფხეს რომ ჰგავდა,  
მგელს შეხედა, მანაც ცეცხლი  
დაჰკვესა და შეანათა.

მყისვე თოფმა გაიღევა —  
განუტევა სული მგელმა...

მოეფერა დათა პირუტყვს,  
გადაუსვა თავზე ხელი:  
უთხრა: „ნუთუ არ გრცხვენია,  
რატომა ხარ ქუთათხელი,

რათ არ იცი, რომ ამ ტყეში  
შენ მტერი გყავს უღვეველი?  
აწ მარტოკა, დაიხსომე,  
აქ სიარულს მოუკელი!“



4.

თინამ ძებნით შეაჯერა  
კარმიდამო. სულ მთლად თრთოდა,  
არ სჯეროდა, წვერცანკარა  
თუ სადმე შორს წავიდოდა.

ახლა იჯდა აივანზე  
მოწყენილი მარტოდმარტო,  
ახლოს ვერვინ ეკარება —  
ანუგეშოს და გაართოს.

—მ—ე—ე!— მოესმა ნაცნობი ხმა,  
და ჭიშკარში... ოჰ, გაოცდა!  
ხედავს, მისი თხა — ბეკეკა  
ფერწასული შემოცოცდა.

გაეჭანა... მოეფერა...  
აუწია ყური თანაც,  
მერე გულის გასახარად  
დღდიკოსთან წაიყვანა.

იმისთანა ბედნიერი  
ვინმე იყო ქვეყნად, განა?



# იფუგაო

ს. ს. რ. კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული როი ბარტონი ცოტახნის წინათ დაბრუნდა ფილიპინის კუნძულებიდან. ერთერთ ამ კუნძულთაგანზე ახლაც ცხოვრობს იფუგაოს ხალხთა ტომი. ესენი ოდესღაც კაციკამიები იყვნენ. მათ ყოფაცხოვრებაზე გვიამბობს ქვემოთ მოთავსებული საუბარი.

— იბავაკ დოკაიო ინუნ დი კატაგუნ დი იპუტო.

— თქვენ უთუოდ ვერ გამოგეთ, ეს იფუგაოს — ტომთა ენაზეა ნათქვამი. ქართულად ჩემი ფრაზა ნიშნავს: „მე მოკიყვებით თქვენ იფუგაოს ტომთა ცხოვრების შესახებ“.

— მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ იფუგაოს ენაზე უკეთესად ვლაპარაკობ, ვიდრე რუსულად. იფუგაოთა ტომები ცხოვრობენ ბიტუს მთაგორიან ადგილებში, ფილიპინის კუნძულების ერთერთ ჩრდილო კუნძულზე — ლუსიონზე, რომელიც ა. შ. შ.-ის კოლონიად ითვლება.

მე სწავლული ვარ, ანთროპოლოგეთს ვსწავლობ, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრებასა და ზნეჩვეულებას. იფუგაოთა ტომმა, ყოფილმა კაციკამიებმა, ძლიერ დამინტერესეს, და ეს იყო მიზეზი ჩემი გამგზავრებისა კუნძულ ლუსიონზე.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ამ ხალხთან მეგობრული კავშირის დამყარება.

მე დავიწყე პეპლების შესყიდვა. სხვათა შორის, ფილიპინის კუნძულებზე ძალიან ლამაზი და დიდი პეპლებია, ისინი მფრინავ ყვავილებს გვანან. მათი ფრთები ხელიგულის სიდიდისაა. იფუგაოს მახიკონები მიკერდნენ პეპლებს (მახიკონ — პიკს ნიშნავს). პიკების საშუალებით მე გავიცანი უფროსი იფუგაოები; პეპლები კი ათასამდის დამიგროვდა. მე ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიტანე.

იფუგაოს ტომები მომთაბარე მიწათ-

მოქმედნი არიან, მათ მოჰყავთ პაგი, ე. ი. ბრინჯი.

მომთაბარე მიწათმოქმედება ძნელი საქმეა. ფერდობები დათხრილია კიბეებით, უკეთ რომ ვთქვათ, ტერასებად, ანუ საფეხურებად.

აი სწორედ ეს საფეხურები წარმოადგენენ იფუგაოების მიწდვრებს.

თვითეული საფეხურის სიმაღლე საშუალოდ ხუთ მეტრამდის აღწევს, სიგანეზეც ხუთ მეტრამდისაა. ერთ ადგილას მთის ფერდობზე 12-მდის საფეხური დავითვალე, მთა კიბეს დამსგავსებოდა. იფუგაოს ხალხს თვითონ მოეთხარა და მოეზიდა მიწა. იმათ თავიანთი ხელით გააკეთეს ბრინჯის მიწდვრები. ყოველი საფეხურის კიდეზე გაკეთებულია მიწის ზღუდე; რომ წყალმა არ გადმოჟონოს საფეხურიდან.

პაგი, ანუ ბრინჯი, ითვისება მხოლოდ წყლით დაფარულ მიწაზე. წყალს ამ მიწდვრებს მთაზე მდებარე ტყეები აწვდიან. იქიდან მუდამ ჩამორბიან წყაროები, უფასო წყალსადენები. იფუგაოები გადაუგდებენ ამ წყაროებს თავიანთ მიწდვრებში და ამრიგად მთის ფერდობზე წარმოიშვება ტბების კიბეები. ყოველი ასეთი ტბის შუაში დაყრილია მიწა. ეს მიწის ნაკვეთები წყლიდან კუნძულებივით ამოჩრდიან. ისინი იფუგაოების ბოსტნებს წარმოადგენენ. იფუგაოს ხალხი მათზე ბოსტნეულს თესავს. ეს შეზღუდული ბოსტან-ნაკვეთები ძალიან ცუდად კვებავენ თავიანთ პატრონებს. ყვე-

ლა ახალგაზრდა დილაკი, ე. ი. მამაკაცი, მიდის მდაროვებში ოქროს სათხრელად. ოქროს სახადოები ფილიპინის კუნძულებზე ეკუთვნიან ამერიკულ კომპანიებს და იქ მუშაობა ძლიერ ძნელია.

იფუგაოები ძლიერ ღარიბულად ცხოვრობენ. კაცები ხმარობენ რალაც მოსახვევს, ტრუსების ან ქამრის მაგვარს, ქალები კი წინსაფრებს ან პერანგებს. ზოგიერთ კაცსაც აგრეთვე პერანგი აცვია, პატარა ბავშვები კი ტიტვლები დადიან. ქსოვილებს იფუგაოები იაპონელებისაგან ყიდულობენ, ეს ქსოვილები ძლიერ ცუდი ან დამბალია. იფუგაოებს თითქმის არ გააჩნიათ საკუთარი ქსოვილები. ცნობილი მანილის ქერელი ჯუტი იზრდება ქვევით, ველებზე. ჯუტს ინაწილებენ ამ ველების მცხოვრებლები, და არა მთაში მცხოვრები იფუგაოები. იფუგაოებს არც ცხვრები ჰყავთ, და აი რატომ არ აქვთ მათ მატყლი. არ შეიძლება, რომ ძროხებმა და ცხვრებმა იარონ ბრინჯის სათეს საფეხურებზე, სხვა საძოვრები კი იფუგაოებს არ გააჩნიათ.

იფუგაოებს ჰყავთ მხოლოდ ღორები

და ქათმები, რომლებიც იქვე ქოხებთა დიარებია.

იფუგაოს სოფლები განტოვანებულია მთის ფერდობებზე, საფეხურა-მინდორებს შორის. სოფლები პატარაა, სულ რამდენიმე კომლია, იშვიათად თუ მეტი.

იფუგაოების ქოხები შეყენებულია ბოძებზე, უკეთ რომ ვთქვათ, ხიმინჯებზე. ხიმინჯების თავები სოკოსე ურად არის გამოთლილი. ასეთი მოყვანილობის ხიმინჯებზე თავგები ვეღარ მიტოვან და ამგვარად ქოხშიც ვეღარ შედიან.

თავგები იფუგაოს დიდ ზარალს აყენებენ. საზოგადოდ ფილიპინის კუნძულებზე ბევრია მღრღნელი. მცხოვრებლებს ხშირად კატის მაგიერ ჰყავთ მოშინაურებული გველი-პიფონი. პიფონი სჯობია კატას. სანამ იგი მშვიერია, მას შეუძლია მრავალი თავგის განადგურება. გარდა ამისა, კატა უგებურია და შიმშილის დროს საქმელად არ ვარგა, პიფონი კი გემრიელია და მისი ჭამა შეიძლება. იფუგაოს ხალხი ამბობს, რომ პიფონის ხორცი ძლიერ გემრიელია და მასზე გემრიელი მხოლოდ ქათმის ხორ-



იფუგაოების სოფელი

ცია. პიფონი ძლიერ დიდი იზრდება. მისი სიგრძე ოთხ მეტრს აღწევს.

ფილიპინის კუნძულებზე ყველაზე საშინელია სამეფო კობრა. ამ საოცრების სიდიდეც ზმირად ოთხ მეტრს აღწევს. მისი შხამი ზმირად სასიკვდილოა. იფუგაოს მცხოვრებთ ძალიან ეშინიათ მისი. საშიში ცხოველები მთის ტყეებში არ გვხვდებიან. არიან გარეული ღორები, ირმები და კამეჩები; მდინარეებში გვხვდებიან ნიანგები. იფუგაოს ხალხი ნადირობს გარეულ ღორებზე, ირმებსა და კამეჩებზე, მაგრამ ისინი მაინც მიწათმოქმედი უფრო არიან, ვიდრე მონადირენი. იკვებებიან განსაკუთრებით „ხინომალით“ — ეს მოხარშული ბრინჯია, უკეთ რომ ვთქვათ, ბრინჯის ქაში. ქაშს ჰამენ ხის კოვზით, და არა ჩხირებით.

მრავალი წლის წინათ იფუგაოები ჰამდნენ სხვა ტომის ხალხს და ბრძოლაში შეპყრობილ ტყვეებს. ახლა ეს საშინელი ჩვეულება მოსპობილია, მაგრამ ხსოვნა კანიზალიზმზე დღემდის შენახულია იფუგაოს ტომთა ჩვევებსა და წესებში. მაგ. იფუგაოები დაცემულ მეტრს მოჰკვეთენ თავს და მისი სისხლით ტუჩებს იღებენ. ძველი დროიდან შენახულია აგრეთვე თავისქალაზე ნადირობა. მე მასზე მერე ვიამბობთ. საერთოდ იფუგაოს ხალხი ძლიერ წყნარი და შრომის მოყვარულია. ბრძოლისათვის მათ აღაგზნებს მხოლოდ ჯინი-ჯინი (ცუდი ხარისხის არაყია), რომელიც მათთვის იაპონელებს საიდუმლოდ ჩამოაქვთ. როდესაც სოფელში ღოთობა დაიწყებოდა, ჩემი მოსამსახურე აკანკალდებოდა და მთხოვდა:

— მისტერ ბარტონ, შინ შედით!

იგი თვითონ იფუგაოს ტომიდან იყო და იცოდა, თუ რა საშიში ხდება მისი ტომის ხალხი იაპონელი ვაჭრების სტუმრობის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ჩავიკეტებოდით სახლში, ვისხედით ჩუმიად და ყველაფერი კეთილად თავდებოდა. ერთხელ ჩემი ქოხის მახლობლად ოთხმა დამთვრალმა იფუგაომ ჩაირბინა, რომლებიც ერთს მისდევდნენ. გაქცეულ-

მა შესძლო ბალახებში დამალვა. ბალახები იქ კაცზე მაღალი იყო. ოთხივე იფუგაო ყვიროდა და ხმაურობდა. უკვე მთელი სამსახურე შიშით კანკალდებოდა. მათი ლეხს შესაძლებელია გოგონებოდათ, რომ გაქცეული ჩემთან დამალა, მაშინ ჩვენი საქმე ცუდად იყო. მე არავითარი იარაღი არ გამაჩნდა და იარაღი გამოუსადეგარიც იყო. იფუგაოები შუბს ისე ჩქარა ისვრიან, რომ ვერ მოასწრებ რევოლვრის ამოღებასა და სროლას. მაგრამ ოთხივე იფუგაომ დიდხანს ილანძლა, იხმაურა და წავიდა.

ბალახებში მიმალული კაცი შემდეგ მოვიდა ჩემთან, დარცხვენილი იყო. მას არ უნდოდა მეფიქრა, რომ იგი მშიშარა იყო; იგი ასე ლაპარაკობდა:

— მე ძალიან გულადი ვარ, მე შემეძლო ოთხივე მომეკლა, მაგრამ როდესაც მე დავაპირე მათი მოკვლა, ხელებში ძვლები დამეკარგა, ხელები დამირბილა და მე ვერ შევძელ მათი მოკვლა.


მე იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავ, მართლაც ძვლები იკარგება და ხელები რბილდება... როდესაც ძალიან შეეშინდება კაცს.

მე მინდოდა იფუგაოებისთვის მეამბნა იმ ქვეყნის შესახებ, საიდანაც მე ჩამოვედი, მაგრამ მათ ენაზე სიტყვებიც კი არ არსებობს, რომლითაც შეიძლება ახსნა იმისა, თუ რა არის საბჭოთა კავშირი. იფუგაოს ხალხმა სრულებით არაფერი არ იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. ფილიპინის მმართველები ძალიან ცოტას ზრუნავენ იმაზე, რომ გამოიყვანონ ეს შრომისმოყვარული და ნიჭიერი ხალხი პირველყოფილი მდგომარეობიდან. მხოლოდ ერთადერთმა იფუგაომ გამიგო მე კარგად, როდესაც საბჭოთა კავშირზე ვლაპარაკობდი. ეს იფუგაო მაღაროებში მუშაობდა, გამოიმუშავა 100 პესო და მისცეს მხოლოდ ნახევარი. და აი, ის მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი ისეთი ქვეყანაა, სადაც ასე არ მოიქცევიან. მაგრამ იფუგაოთა შორისაც არსებობს უთანასწორობა, ისინი ხომ ფილიპინელებზე, ამერიკის კოლონიაში ცხოვრობენ!

იფუგაოთა შორისაც გაჩნდა კერძო საკუთრება, გაჩნდნენ მდიდარნი და ღარიბნი. ღარიბები მუშაობენ მალაროებში, მდიდრები კი იყოფიან სხვებისაგან, ისინი აწესებენ თავიანთ ჩვეებსა და წესებს.

მდიდრები ძალიან ადრე აქორწილებენ თავიანთ შვილებს, ბავშვი ჯერ ძუძუმწოვარა ან ახალფეხადგმულია, და იგი უკვე ქმარია, ასეთივე უსუსური გოგო კი ცოლი. ბავშვებმა არც კი იციან, რომ ისინი დააქორწინეს. ეს კეთდება სიმდიდრის გადიდების მიზნით, კეთდება იმისათვის, რომ მდიდრის ვაჟს არ ჰქონდეს საშუალება დატაკის ქალიშვილის შერთვისა, მას თავიდანვე ამოურჩევენ საცოლოს მდიდარი ოჯახიდან.

მვარამ უნდა ითქვას, რომ მდიდარი იფუგაო ჯერ კიდევ არ არის მემამულე ან კაპიტალისტი, ანდა ვაჭარი, საზოგადოებრივ განვითარებას ჯერ ამ წერტილამდის არ მიუღწევია. მათში ეს კლასობრივი დანაწილება მხოლოდ დასაწყისშია. იფუგაო ძლიერ ჩამორჩა მთელს კაცობრიობას. მხოლოდ აფრიკაში ან ოკეანის კუნძულებზე თუ შეგზავდება ასეთი ჩამორჩენილი ტომები. მათი სარწმუნოება, მათი ღმერთები საშუალებას გვაძლევენ ვიქონიოთ წარმოდგენა მათი განვითარების დონეზე. ღმერთები ათასზე მეტი შეიძლება დავითვალოთ. არის ღმერთი კუქის აშლილობისა, არის ღმერთი წყლულისა, ერთის სიტყვით, ყოველ ბედნიერებასა და უბედურებას ჰყავს თავისი ღმერთი. როდესაც იფუგაო კვდება, მას ნათესავეები მჯდომარე მდგომარეობაში შეჰკრავენ და ფარდულში დასვავენ. ღარიბებთან მიცვალებულნი სამი დღეა ასეთ მდგომარეობაში. უფრო მდიდართან შეიდი დღე და ძალიან მდიდარ-



იფუგაოს სახლი

თან კი ორი კვირა. ამის შემდეგ მიცვალებულს დამარხავენ გამოკვებულში, რომელსაც მთის ფერდობებში გამოთხრიან ხოლმე. იფუგაოს ყოველ ქოხში ნიანგის თავი ჰქილია. ეს ცხოველი იქ წმინდანად ითვლება. მცხოვრებნი ფიქრობენ, რომ ეს თავი იცავს მათ სახლს მტრებისაგან.

იფუგაო ძალიან საინტერესო, თითქმის პირველყოფილი ტომია. მათ შორის ცხოვრება ნიშნავს კითხვას კაცობრიობის ისტორიის წიგნის პირველი გვერდებისას. ჩვენი წინაპრებიც ხომ ისე ცხოვრობდნენ რამდენიმე ათასი წლის წინათ, როგორც ახლა იფუგაოები.

იმისათვის, რომ ბოლო კაცობრიობის შორეული წარსული, საჭიროა შეისწავლო ისეთი ტომის ყოფა-ცხოვრება, რომელსაც შერჩენია ეს ძველებური ზნე-ჩვეულებები. იფუგაოებს შორის მევიცხოვრე შეიდი თვე და ახლა ვამუშავებ ჩემ მეცნიერულ ჩანაწერებს.

— მიხტუ-კ ტეუმე-აკ — ნახვამდის!

თარგმანი რუსულიდან თინა უზნაძისა





ჯერ ერთი წლის ძლივს იქნება  
პაწაწინა უჩა,  
წინა კბილი ამოსვლია,  
რომ იცინის, უჩანს!  
ეს კბილები რომ ამოსდის,  
კარგად ამწანებს ბიჭი,  
უხარია, ილიმება,  
ამბობს: „აი, კიკი!“  
რა ცელქია მუზმუზებელი  
უჩა, თითისხელია,  
გაუტეხელს არ გაუშვებს  
თეფშს, თუ მოახელია.



და როდესაც დედიკოსგან  
უჩა საკმელს ელის,  
ცმუკავს, ტოკავს, ტუჩს ილოკავს,  
გაწვდილი აქვს ხელი.  
ამ ჩვენ უჩას, თმაქუჩუჩას,  
ძლიერ უყვარს ხილი:  
მსხალი, ვაშლი და ატამი,  
თუ მწიფეა, ტკბილი,  
არ იქნება, რომ არ მოსდოს  
ენოსავით კბილი!  
უჩას უყვარს ტკბილი ჩაი  
და ცხელი რძე, ტკბილი,  
მას ბარკალი ქათმის მოსწონს,  
მოხარშული, რბილი,  
კიდევ უყვარს თეთრი პური,  
კარაქი და ყველი,  
კიდევ, იცით, მას რა უყვარს?  
— ალუბლის მურაბა!  
კოვზს არ ხმარობს, ხელით პოტნის  
და სიმღერას აბამს!  
არ იფიქროთ, მართლა უჩა  
იყოს ღორბუცელი!  
მხოლოდ მაძღრად უყვარს კამა  
ამ ჩვენს მუზმუზებელს,  
ისე არა, რომ დასკირდეს  
ხშირად მუცლის ზელა!  
უჩას უყვარს ტანის ბანა.  
ხშირად, ერთხელ განა?  
და როდესაც დაიღლება,  
ძილი უნდა, ნანა!  
ასეთია პაწაწინა  
უჩა — თმაქუჩუჩა,  
დაბაჯბაჯებს, ილიმება  
და კბილები უჩანს.



(ნ. დაფნარელი, „ლექსები“, 1938 წ., გამოცემა საბლიტკამისი)

ნოე დაფნარელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბავშვო პოეტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სახელი საკმაოდ ნაცნობია ქართველი ბავშვებისათვის.

ნ. დაფნარელი უმთავრესად წერს პატარა ბავშვებისათვის, ამიტომ იგი თურნალ „ოქტომბრის“ მუდმივი თანამშრომელია.

ნ. დაფნარელის ლექსების თემები მრავალფეროვანია. იგი წერს უმთავრესად ბავშვების ყოფა-ცხოვრებაზე, წერს ყველაფერ იმაზე, რაც ბავშვთა სიხარულისა და სურვილების საწყაროა: ბუნებაზე, ცხოველებზე, ფრინველებზე, სწავლაზე, გმირობაზე და სხვ. როდესაც იგი აღწერს ბუნებას, მას ყოველთვის უკავშირებს ბავშვებს, მათ ცელქობას, სიხარულს, გატაცებას. ასეთია სწორედ მისი ლექსები: „გაზაფხულის დილა სკოლაში“, „როველი“, „თათარა“, „შემოდგომა“, „ვაშლის ხე“, „ციგაობა“.

ამ მშვენიერ ლექსებში ნათლად მოჩანს, თუ რა კარგად იცნობს ნ. დაფნარელი ბავშვების ბუნებას, ბავშვების განუსაზღვრელ სიყვარულს ბუნებისადმი, თამაშობისადმი, ხილისადმი, ცხოველებისადმი. ლექსში „ვაშლის ხე“ ნ. დაფნარელი ერთგვარ გაბაასებას ახდენს ვაშლის ხესა და ბავშვებს შორის.

ეს ლექსი ნამდვილად შედევრია, მაგრამ ნ. დაფნარელის შემოქმედება იმითია საინტერესო, რომ ის ბევრი ასეთი კარგი ლექსის ავტორია. ყველაფერი ეს, რასაც ირწევით, არ გულისხმობს იმას, თითქოს ნ. დაფნარელს არ ჰქონდეს ნაკლოვანება, მას აქვს სუსტი ლექსებიც, მაგრამ ძირითადად მისი ლექსები კარგია და საინტერესო.

ნ. დაფნარელის კარგ ლექსებად უნდა ჩაითვალოს: „ფუჩას დარდი და ჩურჩხელები“, „როველი“, „კოხნი და ძერა“, „მელა“ „შრომის ზეიშზე“, „გამოცდის წინ“, „მურიას სიზმარი“, „მელა“, „ხამ-

თარი“, „რა დაემართა ნანას“ და სხვ.

რა უნდა დამართოდა, ნეტავ, ნანას? ნანას სასაცილო ამბავი მოუვიდა: ხიდან მწიფე მსხალი ჩამოვარდა, ნანამ თვალი მოჰკრა, გაქანა მისკენ, რომ პირი ჩაეგემრიელებინა, მაგრამ დრუშა-ღორმა მსხალი გააქანა.

თმაქუჩუნა და მოკისკიფ ფუჩამ უცებ მოიწყინა, მაგრამ მას მალე გაუგო დიდებამ: ფუჩას ჩურჩხელები სდო? უკნია. ასეთია დაფნარელის ლექსის „ფუჩას დარდი და ჩურჩხელების“ შინაარსი.

ნ. დაფნარელის ლექსებში კარგადაა აღბეჭდილი ბავშვების სიყვარული ცხოველებისა და ფრინველებისადმი, ბუნებისადმი, ხალისიანობისადმი. ეს ბავშვები ნამდვილი საბჭოთა ბავშვებია, რომელთაც არ აკლიათ აღერსი და მზრუნველობა.

ნ. დაფნარელს აქვს ლექსები, სადაც ბავშვთა მეგობრობის გრძობაა გამოხატული, ეს თვისება საბჭოთა ბავშვების დამახასიათებელია. ლექსში „გაკვეთილი“ მოთხრობლია ამბავი, თუ როგორ დაეხმარა პატარა ლია თავის მეგობარ თინას გაკვეთილის სწავლაში. ლექსში „თამაზი და მიტრა“ აღწერილია თამაზის დახმარების ამბავი თავის მეგობარ მიტრასადმი, რომელმაც ციგაობის დროს გვერდი დაიშავა.

მიტრას დედის ეშინია, ამიტომ მას ეძახის თამაზი. კარგად აქვს დაფნარელს აღწერილი ბავშვების მოხაზილობა საერთო შრომაში, ამ მხრივ ის განსაკუთრებით სოფელს იღებს. ასეთი ლექსებია: „თათარა“, „შემოდგომა“, „ქურდი“, „როველი“ და სხვ.

თუ ნ. დაფნარელი კიდევ უფრო მეტი მოწოდებითა და სიყვარულით მოეკიდება ჩვენს საბავშვო მწერლობას, იგი უსათუოდ საინტერესო საბავშვო პოეტად დარჩება.

ალ. სულავე

# თვითმფრინავი

წამოვდექი, როს ქვეყანას  
დილის შუკი ეფინა,  
დავასწარი დედას, მამას,  
ბავშვებს ყველას ეძინა.

ხელი არვის შეუშლია,  
თვითმფრინავი დაეხატე,  
ფერად-ფერად საღებავით  
მოვრთე, კოხტა გავხადე.

— ჩემო კოხტა თვითმფრინავო,  
თვითმფრინავო ფრთიანო,  
საით უნდა გადაფრინდე?  
გთხოვ არ დაავიანო.

თეთრ ქალაღზე დაქრის ქარი;  
ანჩხლობს, ბრაზობს ბუნება,  
ნახატიდან თვითმფრინავი  
ისევ მესაუბრება.

მეუბნება: ასეთ ქარში  
მიმძიმს ფრენა ცაშიო,  
სათამაშოდ გავიქროლებ  
ჯერ საბავშვო ბაღშიო.



მე ვუსურვე გზა მშვიდობის,  
მოფრინდები აწი როდის?

ეგებ ხვალვე ეგებ ზეგვე-  
თვეთა შემდეგ, წელთა შემდეგ?  
ულამაზესს ამ ჩვენს კლასში  
მე თვითმფრინავს ავაშენებ

და მას ვკითხავ, ნაქარგს მზითა:  
„გაფრინდები რომელ გზითა?“  
მიპასუხებს აფრენილი,  
ღრუბლებ ზემოთ გაფენილი:

— ვისეირნებ სუფთა ცაზე,  
გადავლახავ ტყეს და მინდორს,  
მოდელისტთა შეჯიბრში კი  
შენ მიიღებ პირველ ჯილდოს.

ვეტყვი: „გიმზერს მთელი მხარე,  
თვითმფრინავო, გამახარე!“

ეგებ ხვალვე, ეგებ ზეგვე,  
ან ათეულ წელთა შემდეგ  
მაგარფრთიანს, მოტორიანს,  
დიდ თვითმფრინავს ავაშენებ.

იგი მძლავრი პროპელერით  
იგუგუნებს, იმღერებს,  
მთებისა და ზღვების ზევით  
ჩვენს მტერს დააზიანებს.

ვინავარდებთ საზღვრის გასწვრივ,  
დედა, ტკბილად იძინე,  
ფრინველები აუი მოდგმის  
ჩვენთან ვეღარ შემოვლენ.


თარგმანი ვანიონ დაკახელინსა.

# ელაჭრული თევზი

წყლის ცხოველთა შორის ხშირად ვხვდებით უცნაური არსებანი, რომელთა გარეგნული სახე და შინაგანი თვისებები საყოველთაო გაცეხას იწვევენ.

არსებობენ ერთგვარი თევზები, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან უნარით გამოიბუშონ სხეულში დიდი ჭინვის ელექტრული დენი. დენს წარმატებით იყენებენ როგორც თავდაცვისათვის, ისე თავდასხმისათვის, ე. წ. ელექტრული საკაროს-გნუსი, ლოქო, გველთევზა... ელექტრული გნუსის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვა, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეები ითვლება. მისი გარეგნობისათვის დამახასიათებელია გაბრტყელებული სხეული (სიგრძე მეტრნახევარსა და სიგანე მეტრს აღემატება), წინა ნაწილი ძეხვივით დამრგვალებული აქვს; აქეთ-იქით კი ორი საკმაოდ მოზრდილი თვალი უსხედს. უკანა ნაწილი დავიწროებული აქვს; ორი საცურავი ფარფლით შეიარაღებული. ამას გარდა გნუსი შექურვილია თავისებური მრავალკუთხოვანი უჯრე-

დებით, რომლებიდანაც ის გამოყოფს საკმაოდ ძლიერი ძალის დენს. ამ დენის დარტყმით ადვილად კვდებიან მოზრდილი ცხოველები, როგორც არის: ციყვი, მსხვილი თევზები, კიბოსნაირნი და სხ... იგივე დენი ადამიანს მწვავე ტკივილებს აყენებს, ის რომ გამტარით სკდომად ნივთიერებას შეეუერთოთ, მყისვე ააფეთქებს ძლიერი ძალით, ანდა ათსანთლოვან ელნათურას რომ დაუკავშიროთ, კაშკაშა სინათლეს მივიღებთ. გნუსს კარგად ესმის თავისი ძალა და ამიტომ მშვიდად, აუღელვებლად დაცურავს აბობოქრებულ ზღვაში. ვინ გაბედავს მყუდროება დაურღვიოს უალრესად მრისხანე იარაღით შექურვილ გნუსს? მეთევზე ან მტაცებელი ზღვის ცხოველი ხშირად გვერდს უვლის მას. ვინც მას მტრულად ხელს ახლავს, უმაღვე ისჯება მძაფრი ელდენის დარტყმით. დენის გაშვების შემდეგ მცირე ხნით უვენებელი ცხოველი ხდება, მაგრამ მალე კვლავ უბრუნდება წართმეული ძალა.





# ს ს მ თ ა მ ნ ყ მ ბ ი

## 6. ნ ა კ ა ხ ი მ ა

აიღეთ ერთერთი მრავალასოიანი სიტყვა, მაგ. კინემატოგრაფი. სიტყვა კინემატოგრაფისაგან უნდა შედგეს ახალი სიტყვები. თამაშობაში დატული უნდა იქნას შემდეგი წესები:

1. არ შეიძლება საკუთარი სახელების დაწერა, მაგ. ფოტინე, რომი, რიონი და სხვა.

2. არსებითი სახელები უნდა დაიწეროს სახელობით ბრუნვაში, მხოლოდობით რიცხვში.

3. ყოველი ახალი სიტყვისათვის შეიძლება დაწეროს ყველა ასო, რომელიც შედის აღებული სიტყვის შემადგენლობაში, მაგრამ მხოლოდ იმდენჯერ, რამდენჯერაც აღებულ სიტყვაშია ნახმარი. მაგ. სიტყვა „კინემატოგრაფი“ — ში არის ორი „ა“, ამიტომ შეიძლება დასწეროს

ისეთი სიტყვა, რომელშიც ორი „ა“ ურევია, მაგ. ტარა, ფარაონი, მაგარი.

სიტყვების შესადგენად შეიძლება მისცეთ 5-10 წუთამდის, როდესაც დანიშნული დრო გავა, ყველამ უნდა დათვალოს რამდენი სიტყვა შეადგინა და დაწერა. ვისაც მეტი სიტყვები აღმოაჩნდება, პირველად კითხულობს თავის სიტყვებს ხმამაღლა. თუ წაკითხული სიტყვებიდან რომელიმე აღმოაჩნდება ვინმეს, უნდა ამოშალოს როგორც წამკითხველმა, ისე სხვებმაც. შემდეგ კითხულობს მეორე, ვისაც მეტი სიტყვები აქვს. ერთნაირი სიტყვები აქაც უნდა წაიშალოს უწინდელივით და ა. შ. ბოლოს ყველამ უნდა დათვალოს რამდენი, ორიგინალური, განუმეორებელი სიტყვა დარჩა. ვისაც მეტი აღმოაჩნდება, ის არის გამარჯვებული.

### ქანაღა „მეგობარის“ ხელისმომწერთა საყარაღებო

1939 წლისათვის ჩვენ ჟურნალზე უკვე წარმოგებს ხელისმოწერა.

ხელის მოწერას მიიღებენ: „სოიუზკაჩაბი“, ფოსტა, წერილის დამტარებლები, ხელის მოწერის შემკრებნი საწარმოებსა, დაწესებულებებში და სკოლებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობები ტრანსპორტზე.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით . . . 6 მან.

6 თვით . . . 3 მან.

3 თვით . . . 1-50 კპ.

ცალკე ნომერი . 50 კპ.